საქართველო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 47 840
15/06/2020

840-47-4-202006150940

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ და „ე.ე“ პუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დაგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე განხორციელდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება:
   - ქ. ტყიბულში კ/ლომაძის მოედანი N3-ში განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 39.01.24.003) დემონტაჟის სამუშაოების განხორციელება(ნულოვანი აუქციონი);
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში მდებარე 2765 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1166,36 $მ^2$ შენობა ნაგებობა, ს/კ 39.07.29.001, ქონების ღირებულება 63000 ლარი;
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურაში მდებარე 801 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 300 $მ^2$ შენობა ნაგებობა, ს/კ 39.02.28.090, ქონების ღირებულება 6000 ლარი;
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში მდებარე 274 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 143 $მ^2$ შენობა-ნაგებობა (ნანგრევი), ქონების ღირებულება 2050 ლარი;
   - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში, 51-ე ქუჩა N6-ში მდებარე 300 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 300 $მ^2$ შენობა-ნაგებობა (ნანგრევი), ქონების ღირებულება 15000 ლარი;
   - მოწამეთას მონასტერთან არსებული ვიზიტორთა ცენტრი, მასთან დაკავშირებული ნაგებობები და ადგილი პარკინგისათვის, იჯარის ხელშეკრულება, წლიური საწყისი საიჯარო თანხა 12000 ლარი, იჯარის ვადა 3(სამი) წელი;
   - თუნუქის სახურავი 1X1 მ 72 ც, ქონების ღირებულება 288 ლარი;

- დაგოფრილი თუნუქის სახურავი 1X2 მ 90 ც, ქონების ღირებულება 540 ლარი;
- ალუმინის სახურავი 1X2 მ 105 ც, ქონების ღირებულება 1260 ლარი;
- ჯართი 200 კგ, ქონების ღირებულება 90 ლარი

2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

თემურ ჩუბინიძე



მუნიციპალიტეტის მერი